

# ახალი თაობა




21 მარტიდან  
**100 ლექსი**

ლოდო ასათიანი  
**საქართველოში**

„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლხი



ორშაბათი, 21 მარტი, 2016

№67 (6993)

ფასი: 50 თეთრი

## „ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის მოადგილეს გაურბიდა“



გვ.3

რა მასალებს აწვდის ამირან მესხელი „ქართულ ოცნებას“ ოპონენტებზე

გიგლა ბარამიძე: „რუსეთმა დაკარგული ტერიტორიები რომ დააბრუნოს, რამდენიმე პარტია უიშვილეთ მოკვდა“



### ვან ბაიბურთი: „ჯავახეთში არეულობა არ იქნება“

რატომ უნდა იყვნენ რუსეთის დუმაში სომეხი დეპუტატები

გვ.5



„ჩურჩხელა ჩვენი სნიკერსია“



### კახა კუკავა: „თვალთვალი და ფარული გადაღება დღესაც ბრძელდება“

გვ.2

„ეს უმარტივესად გამოსაძიებელი საქმეა“

„ხელისუფლებამ წინა რეჟიმის სისტემური დანაშაულის გამოძიებაზე უარი თქვა“

### ვანტანო თორდია: „მურუსიძის დანიშვნით სწორად მოვიქცით“

გვ.4



სააგენტომ ჯგუფურად **გვ.2**  
კომერსიული მოსყიდვის  
ფაქტზე ორი პირი დააკავა



**გვ.6**  
რამ გამოიწვია ხანძარი სამეზობლოში?























### 23 მარტიდან

გაზეთ „ახალ თობასთან“ ერთად

## თომას კენილი

# შინდლერის სია

„შინდლერის სია“ ავსტრიელი ფაბრიკის მფლობელის, ნაცისტური პარტიის წევრ ოსკარ შინდლერის ნამდვილი ისტორიაა, რომელმაც უდიდესი რისკისა და თანხის ფასად თავის ქარხნებში მომუშავე ათასზე მეტი გეტოელი ებრაელი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

სტივენ სპილბერგის მიერ 1993 წელს გადაღებულმა მრავალი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „შინდლერის სია“ არაადამიანურ სისტემასთან ფარულად მებრძოლი ოსკარ შინდლერი მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა.

### თომას კენილი

## შინდლერის სია

### გაზეთი „ახალი თობა“ ნაკომილად ნიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

## შეღებულს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან	— იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან	— იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან	— იესო ქრისტეს პირველი მოწოდება
15 აპრილიდან	— იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან	— საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან	— იესო ქრისტეს აღდგომა

### კალენდოკოვი

## ინდოეთში ძაღლების ქორწილს 5 ათასი ადამიანი დაესწრო

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ორი ძაღლის ქორწილს 5 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა, იუნჯება ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო. ცერემონია სოფელ პავარაში ინდოეთის ყველა ტრადიციის შესაბამისად ჩატარდა. სასიძო სპეციალური მანქანით მოვიდა, რომელიც ყვავილებით იყო მორთული. ქორწილის დროს პატარძლის პატრონმა ჯუნგ ბახადურმა ცრემლები ვერ დამალა.

— მართალია ის ჩემი ძაღლია, მაგრამ შეილივით მიყვარს, — განაცხადა ბახადურმა.

ღონისძიებას ადგილობრივი დიჯეი უძღვებოდა, ხოლო სტუმრები ცეკვავდნენ. როგორც ადგილობრივი სააგენტო აღნიშნავს, ეს შესაძლოა ჩვეულებრივი ინდური ქორწილის სცენა ყოფილიყო. საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ, ახლად დაქორწინებულები მანქანით გაემგზავრნენ.

# საქართველო რაგბი ევროპის ჩემპიონია

**საქართველო — რუმინეთი 38:9**  
თბილისი. დინამო არენა

**საქართველო:** კვირიკაშვილი (ავტოგოლი 57), ფრუიძე, კაჭარავა, მჭედლიძე (მაღალურადე 63), თოდუა, სხალაძე, ლობჯინიძე (ბეგაძე 51); ნარიაშვილი (ასიევილი 55), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 55), ფეიქრიშვილი (ჩილაჩავა 50), ჩხაიძე (მიქუტაძე 46), ნემსაძე, სუთიაშვილი, გორგოძე, გორგაძე (ლომიძე 50)

**რუმინეთი:** ბოტეზუტუ, იონიცა, კინი კინი ლაუ, ვლაიკუ, აპოსტოლ (ისპირი 66), როუზ (მელნიჩუკი 75), კალაფეტანუ (ბრატუ 61); პრისტავიცა (დიკო 72), კუპცინა (რედოი 61), რუსუ (მანოლი 50), პოპირლანი, ფან პირდენი, ბურჩა, ლუკაჩი (ანტონესკუ 46), გორჩიაია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რაგბი ევროპის ჩემპიონი და ანტიმოზ ივერიელის თასის მფლობელია. ბორჯღალოსნებმა ამ ჯილდოებისთვის რუმინეთის ნაკრებს მოუგეს. ჩვენებს ასე ადვილად „მუხის ფოთლები“ არასდროს დაუმარცხებიათ — პირველად ისტორიაში ბონუს ქულით მოიგეს. სხვაობაც სარგებოდა — 29 ქულა.

ბორჯღალოსნებმა ლელოების კასკადი მოაწყვეს: ბურჯმა ანტონ ფეიქრიშვილმა ორი ლელო მიითვალა (პირველი და მე-3) დანარჩენი ლელოები სანდრო თოდუამ, გიორგი ფრუიძემ, გიორგი ნემსაძემ და კარლენ ასიევილმა დადეს. სულ მატჩში 6 ლელო გაეიტანეთ, ხოლო საპასუხო საში ჯარიმა მივიღეთ და ანგარიშიც 38:9 დაფიქსირდა.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

### იუმოხი

მეზობელი მეზობელი ეკითხება:  
— ბიჭო, ცოლი არ უნდა მოიყვანო?  
— აგერ მეზობელ სოფელში რომ ნინოია, ის მომყავს ცოლად.  
— ბიჭო, მაგაზე ამბობენ, მთელი სოფელი მაგასთან დადისო და არ მოიყვანო.  
— გავიდა ცოტა ხანი და ბიჭმა ცოლი მოიყვანა და მეზობელიც დააბატიყა. მეზობელი ეკითხება:  
— ვინ მოყავს ცოლად?  
— მეზობელი სოფლიდან ნინოია.  
— ბიჭო, ხომ გითხარი, არ მოიყვანო, მთელი სოფლის ნახმარიო.  
— ვიყავი იმ სოფელში და არც ისე ბევრი ხალხი ცხოვრობს.

ქალი იმდენ კაცთან იწვია, ბავშვი რომ გაუჩნდა, სახელად ხალხური დაარქვეს!

### ამერიკელმა მილიარდერმა ძაღლს კლონირება ჩაუტარა

აშშ-ში ინტერნეტკომპანია ინტერაქტივეგრუპის მედიამაგნატმა ბარი დილერმა თავის ჯექ-რასელ-ტერიერს, სახელად შენონს, კლონირება ჩაუტარა.

აღნიშნული პროცედურა მენარმეს 100 ათასი დოლარი დაუჯდა. კლონირება კორეულმა ორგანიზაციამ განახორციელა, რომელსაც უკვე შექმნილი ჰყავს სხვა ლეკვების იდენტური არსებები.

დილერის წარმომადგენელმა ცხოველის კლონირების ფაქტი დაადასტურა, მაგრამ სხვა, რაიმე სახის კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. ასევე უცნობია, ცოცხალია თუ არა შენონი.

74 წლის დილერი ამერიკელ მოდელიერ დიანა ფონ ფიურსტენბერგზე დაქორწინებული. შენონი მათი საერთო შინაური ცხოველია. მათ ის ყოველთვის და ყველგან თან დაჰყავდათ, მათ შორის მაღალი წრის საზოგადოების წევრებზეც. დილერის საერთო კაპიტალი თითქმის სამ მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

### სინგაპურელმა ტყუპებმა ინტერნეტი დაიპყრეს

რვა თვის სინგაპურელმა ტყუპებმა ლეიამ და ლოურენმა ინტერნეტი თავიანთი დედის ემბერ იანგის წყალობით დაიპყრეს, რომელიც სხვადასხვა კოსტიუმში გამოწყობილი ტყუპების ფოტოსურათებს ინტერნეტში აქვეყნებს. ინსტაგრამში ბავშვების გვერდს 142 ათასზე მეტი ხელმოწერი ჰყავს.

იანგმა ბავშვების ფოტოსურათების გამოქვეყნება მათი დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო. ქალი სოციალურ ქსელში თავისი შვილების ცხოვრებას ასახავს, მაგალითად, მათ პირველ მოგზაურობას.

ყველაზე პოპულარული ფოტოსურათი გახდა ის, რომელზეც ტყუპები ქალთევზების კოსტიუმებში გამოწყობილები არიან ალბეჭდილები. ამ ფოტოსურათმა 24,5 ათასი მოწონება მოაგროვა.

**მოამზადა კანა ხატიაშვილმა**

### ქოსვოხი

**თარაზულად:** 4. ძვირფასი ნივთების შესახებ ყუთი; 6. გვამის დანვა; 8. გადილა; 10. სურნელები; 11. სამეურნეო იარაღი; 12. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 14. ავადმყოფური მისწრაფება რაიმესადმი; 17. აზვლილი კარტოფილი; 19. ბამბის ბადურა ნაქსოვი; 20. ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში; 21. ბერძნული ანბანის ასო; 22. სულიერი განწმენდა; 23. მამაკაცის საჩიხიანი ქული.

**შეუღლად:** 1. მიწის დონეზე დაბლა მდებარე შენობის ნაწილი; 2. აკლამა, სამლოცველო; 3. ლითონის ფული თურქეთში; 5. იბობას ქსელი; 7. არამშობლიური მხარე; 9. ქუჩების რთული, დახლართული განლაგება; 13. ქალის დილის ხალათი; 15. მაგარმერქნიანი ხე; 16. რაიმე საგნის შემცირებული ნიმუში; 18. გამის პირველი ძირითადი ბგერა.

**შეადგინა თლივერ კონიამ**

### ქოსვოხი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:  
— ჩემმა ცოლმა გახდომა გადაწყვიტა და ცხენოსნობით დაინტერესდა.  
— მე რეგორაა საქმე, შედეგი გამოიღო?  
— ცხენმა წინაში უკვე 5 კილოგრამი დაიწყო!

საკანში ახალი პატიმარი შევა, მხარზე ხარის სკინინგი ახატია. ერთი პატიმარი ეკითხება:  
— ქურდი ხართ, კანონიერი, ხარი რომ გახატიათ?  
— არა, რას ბრძანებთ.  
— მაშინ „ჩიკაგო ბულსის“ გულშემატკივარი იქნებით, ალბათ.  
— არა, ბატონო, არ ვარ.  
— აა მივხვდი, ტორუადორი იქნებით, ხარებთან მებრძოლი. ასეა ხომ?  
— არა, რა ტორუადორი, რას ამბობთ!  
— აბა, „ტუშონკა“ ხარ?  
— ე, მაიცა რა ცავატანემ. ჩემი პრობლემები არ მყოფნია, რომა ჩემმა მეზობელმა „ნაძლი“ ახალი „ტოიოტა“ იყიდა...  
**მოამზადა კანა ხატიაშვილმა**